



შპს ორიენტირი

ს ი ლ ა ბ უ ს ი

საწარმოო პრაქტიკა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება		მასაჟისტი
საფეხური		III საფეხური
სასწავლო კურსის დასახელება		საწარმოო პრაქტიკა
სასწავლო კურსის კოდი		MAS03-13
სასწავლო კურსის ხანგძლივობა		10 კვირა
სასწავლო კურსის ხელმძღვანელი		ნინო ლურსმანაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია		599 374 326
ელ-ფოსტა		E-mail: lursmanashvili.62@mail ru
14კრედიტი 350საათი	პრაქტიკა	345 საათი
	შუალედური გამოცდა	2 საათი
	დასკვნითი გამოცდა	3საათი
სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა		პროფესიული სტუდენტის მიერ ამ საფეხურის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პრაქტიკა.
სასწავლო კურსის მიზანი		პრაქტიკის მიზანია გაუმყაროს სტუდენტს თეორიული კურსისა და სასწავლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნა; პრაქტიკის მიმდინარეობისას სტუდენტი გაეცნობა პაციენტზე სხვადასხვა სახის მასაჟის განხორციელების პროცედურას, დააკვირდება სამედიცინო პერსონალის მუშაობას, უშუალო მანაწილეობას მიიღებს პროცედურების შესრულებაში, ხოლო პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების შემდეგ დამოუკიდებლად შეძლებს მათ შესრულებას.
სასწავლო კურსის შინაარსი		ძირითადი თემები (იხ. დანართი)
<b>პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება</b>		
<p>პრაქტიკის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.  შეფასება:</p> <p><b>ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება</b></p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი,  (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%,  (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%,  (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%,  (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%,</p> <p><b>ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:</b></p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50% რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;  (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>		

**პრაქტიკის შეფასება:**

**საწარმოო პრაქტიკაზე დასწრება - მაქსიმუმ 17 ქულა.**

ქულის გაანგარიშება ხდება შემდეგი წესით : ქულა=X

X= დასწრების დღეების რაოდენობა x 17/პრაქტიკის დაგეგმილი დღეების რაოდენობაზე

მიღებული შედეგი მრგვალდება მთელამდე სიზუსტით.

პრაქტიკაზე დაგვიანება ან ადრე წასვლა შეფასდება, როგორც გაცდენა.

**შუალედური გამოცდა-მაქსიმუმ 40 ქულა;**

პროფესიულ სტუდენტს ეძლევა 8 პრაქტიკული დავალება, თითოეული ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით

**5 ქულა:** ზედმიწევნით კარგად ასრულებს პრაქტიკულ დავალებას.

**4 ქულა:** დამოუკიდებლად ასრულებს პრაქტიკულ დავალებას, კარგად შეუძლია მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება, ოღონდ უშვებს უმნიშვნელო ხარვეზებს.

**3 ქულა:** ასრულებს პრაქტიკულ დავალებას დამაკმაყოფილებლად, ხარვეზებით.

**2 ქულა:** ასრულებს პრაქტიკულ დავალებას უხარისხოდ – შეცდომებით, საჭიროებს სხვის ჩარევას.

**1 ქულა:** ვერ ასრულებს პრაქტიკულ დავალებას, თუმცა აქვს წარმოდგენა იმაზე რაც ევალება.

**0 ქულა:** ვერ ასრულებს პრაქტიკულ დავალებას, არ შეუძლია მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

**პრაქტიკის დღიურის წარმოება - 3 ქულა**

**3 ქულა** - სტუდენტი სისტემატიურად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, ინიშნავს მონაცემებს, აღწერს ყოველკვირეულ/ყოველდღიურ შესრულებულ სამუშაოს, გადმოცემულია ის სიახლეები, რომელსაც სტუდენტი გაეცნო სწავლის პროცესში, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით სტუდენტი აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს.

**2 ქულა**-სტუდენტი დამაკმაყოფილებლად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, ინიშნავს მონაცემებს, არასრულად აღწერს ყოველკვირეულ/ყოველდღიურ შესრულებულ სამუშაოს, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით სტუდენტი აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს.

**1 ქულა**-სტუდენტი არასრულად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, მოცემული სწავლის შედეგები არასრულია.

**0 ქულა**-სტუდენტი არ აწარმოებს პრაქტიკის დღიურს.

**დასკვნითი გამოცდა-მაქსიმუმ 40 ქულა;**

შეფასება ხორციელდება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ კითხვარის გამოყენებით.

ქულის გაანგარიშება ხდება შემდეგი წესით:  $ქულა = X$

$X = \text{მიღებული ქულის რაოდენობა} \times 40 / \text{მაქსიმალური შესაძლო ქულის რაოდენობაზე}$

მიღებული შედეგი მრგვალდება მთელამდე სიზუსტით.

№	განსავითარებელი კომპეტენცია	შეფასება (ქულა)		
		2 კარგად	1 ნაწილობრ ოვ	0 ცუდა დ
1	სწორად კითხულობს დიაგნოზს ლათინურ ენაზე			
2	სწორად ზომავს წნევას			
3	სწორად ითვლის პულსს და სუნთქვას			
4	სწორად აკეთებს პერკუსიას			
5	სწორად აკეთებს პალპაციას			
6	სწორად ადებს ტალახის აპლიკაციას			
7	სწორად ადებს პარაფინის აპლიკაციას			
8	სწორად იყენებს სამკურნალო მასაჟის მეთოდებს სხვადასხვა პროფილის დაავადებით პაციენტთა რეაბილიტაციაში.			
9	სწორად იყენებს კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთებს სქოლიოზისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვა დეფორმაციისა და დაზიანების მქონე პაციენტების მკურნალობა-რეაბილიტაციაში			
10	სწორად იყენებს სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდებს.			
11	სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად სწორად ატარებს პროფილაქტიკის ღონისძიებებს.			
12	სწორად აწარმოებს კომუნიკაციას პაციენტთან			
13	სწორად აწარმოებს კომუნიკაციას პაციენტის ოჯახის წევრებთან			

14	სწორად აწარმოებს კომუნიკაციას მედპერსონალთან			
15	ურთიერთობისას იცავს ეთიკის ნორმებს			
16	სწორად იცავს მუშაობისას სანიტარულ ნორმებს			

პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო კურსში კრედიტი მიენიჭება, თუ ქულების დაჯამებით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;

*პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.*

<b>სწავლის შედეგები</b>	<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</b>          პროფესიულ სტუდენტს შეუძლია: წაიკითხოს დიაგნოზი ლათინურ ენაზე და გაიცნოს პაციენტის კლინიკური მდგომარეობა. არტერიული წნევის გაზომვა, პულსისა და სუნთქვის დათვლა; პერკუსია და პალპაცია. ტალახის, პარაფინის აპლიკაციის დადება. მასაჟისადმი ტოლერანტობის ნიშნების გამოკვლევა. პირველადი დახმარების აღმოჩენა. სამკურნალო მასაჟის მეთოდის გამოყენება სხვადასხვა პროფილის დაავადებით პაციენტთა რეაბილიტაციაში (ექიმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შესაბამისად) კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთების გამოყენება სქოლიოზისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვა დეფორმაციისა და დაზიანების მქონე პაციენტების მკურნალობა-რეაბილიტაციაში. ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება. სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდის გამოყენება.</p> <p><b>დასკვნის უნარი:</b>          უნარი შესწევს დროულად ამოიცნოს პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი. ამოიცნოს დაავადების რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები; გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად მეორადი პროფილაქტიკის ღონისძიებების ჩატარებაში.</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი:</b>          შეუძლია კომუნიკაცია პაციენტებთან, მის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან. სხვისი საუბრის მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებების დაზუსტება.</p> <p><b>სწავლის უნარი:</b></p>
-------------------------	--

	<p>ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია: ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე. მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.</p> <p><b>ღირებულებები:</b></p> <p>იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს; იცავს სანიტარულ ნორმებს. იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს; პაციენტისა და კოლეგების მიმართ არის კეთილგანწყობილი.</p>
<p>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</p>	<p>კონსულტირება, ჯგუფური მუშაობა, კონკრეტული დავალების/სამუშაოს კეთება ინდივიდუალურად, დემონსტრირება, როლური თამაშები, სიტუაციის გარჩევა, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია.</p>

პრაქტიკის შინაარსი				
#	კვირა	პრაქტიკის თემატიკა	საათების რაოდენობა კვირაში	
			პრაქტიკა	გამოცდა
1	31	მასაჟი მიოპელოზის დროს. მასაჟი მიოფიბროზის დროს. მასაჟი წელ-გავის რადიკულის დროს. მასაჟი ქონდროპათიის დროს. მასაჟი სახსრების მადეფორმირებელი ართოზის დროს. მასაჟი ბურსიტის დროს. მასაჟი გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს.	36	
2	32	მასაჟი ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დროს. მასაჟი ნერვული სისტემის დაავადებების დროს. მასაჟი ბრტყელტერფიანობისა და ტერფმრუდობის დროს. მასაჟი პნევმონიის, ბრონქული ასთმის დროს. მასაჟი ენურეზის - ღამის შარდვის შეუკავებლობის დროს. მასაჟი საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადების დროს.	36	
3	33	მასაჟი სამწვერა ნერვის ნევრალგიის დროს. მასაჟი საყრდენ მამოძრავებელი აპარატის დაავადების დროს. მასაჟი ართროზის დროს. მასაჟი რევმატოიდული ართრიტის დროს. მენისკი.	36	
4	34	ზოგიერთი ტრადიციული მასაჟი. მასაჟის თაფლით, ტალახით, პარაფინით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის ჩატარება მასაჟი სპორტული დაზიანებების დროს.	34	
		<b>შუალედური გამოცდა</b>		2
5	35	ტანვარჯიში(აქტიური, პასიური, უიარაღო, იარაღით, იარაღზე, წყალში და წყალქვეშა. გამოყენებითი და თამაშობითი).	36	
6	36	სპეციალური ვარჯიშები: ჰიპერტონ ული დაავადებების დროს, სუნთქვითი ორგანოების დაავადებების დროს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს, შარდ-სასქესი დაავადებების დროს, ორსულ;ობის, მშობიარობის დროს, კლიმაქსის პერიოდში,	36	



		ნივთიერებათა ცვლის დარღვევის და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების დაავადებების დროს, ტრამვატოლოგიაში და ორთოპედიაში.		
7	37	მექანო, შრომითი და ბალნეოთერაპიის გამოყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, რევმატული დაავადებების, ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადებების დროს. რაიცთერაპიის გამოყენება ნერვული სისტემის დაავადებების დროს, ხერხემლის სხვადასხვა დეფორმაციების დროს.	36	
8	38	დამოუკიდებელი ვარჯიშები, მოძრაობის რეჟიმები. პასიური მოძრაობები და მათი შესრულების ტექნიკა.- მოძრაობის რეჟიმები: წოლითი, პალატის, დაზოგვითი-წვრთნის და საწვრთნელი.	36	
9	39	კინეზოთერაპია ხერხემლის სხვადასხვა დეფორმაციების დროს.	36	
10	40	სპორტული მასაჟი ტრამვული დაზიანების რეაბილიტაციის დროს.	23	
		<b>დასკვნითი გამოცდა</b>		<b>3</b>
		<b>საბოლოო ჯამი</b>	<b>345</b>	<b>5</b>
			<b>350</b>	



პროფესიულმა სტუდენტებმა მხედველობაში უნდა მიიღონ რომ პრაქტიკის ობიექტზე მათი გამოცხადებისა და ქცევის წესები, გარეგნული ფორმა და სხვა პირობები სრულიად უნდა შეესაბამებოდეს პრაქტიკის ობიექტის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. მათ მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებისათვის პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებელია დაეკისროთ ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აგრეთვე, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პრაქტიკის ობიექტს სრულად აუნაზღაუროს არამართლზომიერი ქმედებით მიყენებული ზიანი.

### ხელწერილი

ქ.თბილისი

-----20----წ

მე, -----,  
(სახელი, გვარი) (პროგრამის დასახელება)

პროფესიული სტუდენტი, ამ დოკუმენტზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ:

1. გავეცანი პრაქტიკის პროგრამას და ვიცი ჩემი მოვალეობები პრაქტიკის განმავლობაში;
2. განმემარტა შრომის უსაფრთხოების წესები;
3. განმემარტა ეთიკის ნორმები და ქცევის წესები;
4. განმემარტა კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობის შესახებ;
5. განმემარტა ჩემი უფლებები, ვალდებულებები და სრულიად მაქვს გაცნობიერებული ის სამართლებრივი პასუხისმგებლობა რაც შეიძლება დამეკისროს ჩემს მიერ პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული არამართლზომიერი ქმედების ან ობიექტისათვის მიყენებული ზიანის გამო.

ხელმოწერა -----